საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ70.70220967**

თარიღი:**06/04/2022**

ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 118–ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების და „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მარტის #54 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის #15 განკარგულების საფუძველზე ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. საჩხერე, ქუჩა ივ.გომართელი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ს/კ 35.01.45.896) პრივატიზება.

2. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე 1050.00 ლარით. „ბე“ და ბიჯი საწყისი საფასურის 10–10 პროცენტი.

3. ელ-აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2022 წლის 12 აპრილი 12.00 საათი და დასრულების დროდ ამავე წლის 21 აპრილი 12.00 საათი.

4. ბრძანება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ.აღმაშენებლის ქუჩა #3).

ლევანი ივანაშვილი

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი